შრომა და სოციალური სამართლიანობა

მინიმალური ხელფასი საქართველოში

ორწლიანი ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის შეფასება

დავით სიჭინავა
სექტემბერი 2021

→

მინიმალური ხელფასის იდეას საქართველოში მხარს ფართოდ უჭერენ. რესპონდენტების მიერ დასახელებული მინიმალური ხელფასის გონივრული რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 1 208 ლარს შეადგენს, რაც ამჟამად არსებულ საარსებო მინიმუმს ექვსჯერ, ხოლო მინიმალური ხელფასის კანონით დადგენილ ოდენობას ორმოცდაათჯერ აღემატება. 2020 წელს რესპონდენტების მიერ დასახელებულ მაჩვენებელს აღნიშნული რიცხვი 354 ლარით აღემატება.

→

შედარებით უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი რესპონდენტები სასურველი მინიმალური ხელფასის უფრო მაღალ მაჩვენებლებს ასახელებენ, ვიდრე - ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანები.

→

საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სასურველი ღირსეული ანაზღაურება 1 778 ლარი უნდა იყოს, რაც 2020 წლის მაჩვენებელთან შდარებით, 435 ლარითაა გაზრდილი. დასაქმებული რესპონდენტებისთვის აღნიშნული 2 108 ლარს შეადგენს, ხოლო დაუსაქმებლებისთვის კი - 1 427 ლარს.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

შრომა და სოციალური სამართლიანობა

მინიმალური ხელფასი საქართველოში

ორწლიანი ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის შეფასება

პუბლიკაცია მომზადდა

CRRC GEORGIA | CAUCASUS RESEARCH RESOURCE CENTER

თანამშრომლობით

სარჩევი

1. შესავალი 2

2. შედეგები 4

მინიმალური ხელფასისადმი მხარდაჭერა 4
რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა
მინიმალური ხელფასის გონივრული ოდენობის შესახებ? 5
ღირსეული ანაზღაურების აღქმა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 5

3. დასკვნები 7

გამოყენებული ლიტერატურა 8
დიაგრამები 8

1

შესავალი

მინიმალური ხელფასის გონივრული ოდენობის შესახებ პოლიტიკურმა აზრთა სხვადასხვაობამ ბოლო წლებში საკმაო ყურადღება მიიქცია. პროფკავშირების,[1] საქართველოს პარლამენტის წევრებისა[2] და ცალკეული მოქალაქეების მიერ გამოითქვა სხვადასხვა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, თუმცა არცერთ მათგანს პარლამენტში მსვლელობა არ მისცემია.

საქართველოში დამსაქმებლები 1999 წლის შემდეგ მოქმედი რეგულაციის თანახმად, ვალდებულნი არიან მინიმალური ხელფასის ყოველთვიურ ოდენობად მხოლოდ 20 ლარი გადაიხადონ.[3] კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში დადგენილი ანაზღაურების მინიმალური რაოდენობა არასდროს შესწორებულა ინფლაციის, რეალური ხელფასის, ან ცხოვრების დონის ცვლილების მიხედვით.[4] ქვეყანაში არსებული მინიმალური ხელფასი სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალია.[5]

ამ ფაქტს მთავრობაც გარკვეულწილად ათვითცნობიერებს: სახელმწიფომ 2005 წელს საჯარო მოხელეებისთვის ხელფასის მინიმალურ ოდენობად 135 ლარი დაადგინა.[6] სახელმწიფო სექტორში განხორციელებული ცვლილების მიუხედავად, კერძო დამსაქმებლებს დღესდღეობით მხოლოდ 20 ლარის გადახდის ვალდებულება აქვთ, ხოლო კანონის დარღვევისთვის ძალიან უმნიშვნელო პასუხისმგებლობა არსებობს.[7] მინიმალური ხელფასის არსებული მცირე ზღვარი დამსაქმებლებს უბიძგებს, დასაქმებულებს ნაკლები გადაუხადონ (იქვე), რაც იწვევს იმას, რომ ხელფასი ხშირად საარსებო მინიმუმსაც კი ჩამორჩება.[8]

დასაქმებულები შეიძლება სამსახურიდან გაათავისუფლონ, ან მწარმოებლებმა შედეგად მომსახურებასა და პროდუქციაზე ფასები გაზარდონ.[9] მინიმალური ხელფასის არსებობამ შესაძლოა, წაახალისოს არაფორმალური დასაქმებაც, რათა დამსაქმებლებმა თავი აარიდონ გაზრდილი მინიმალური ხელფასის გადახდას.[10]

მიუხედავად ამისა, ქვეყნის მასშტაბით 2020 და 2021 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობა მინიმალური ხელფასის რეგულაციას ემხრობა. წინამდებარე ანგარიშში ასევე აღწერილია ამ რეგულაციისადმი დამოკიდებულებების თავისებურებები და ასევე - მინიმალური ხელფასის ღირსეული მაჩვენებლის აღქმა.

წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა „CRRC-საქართველოს“ მიერ 2020 წლის აპრილსა და 2021 წლის ივლისში ჩატარებული ომნიბუს-კვლევის მონაცემებს. შედეგები ქვეყნის წარმომადგენლობითია და ეფუძნება შემთხვევითი რიცხვების გენერირებით ჩატარებული სატელეფონო კვლევას (Random Digit Dial method, RDD). 2020 წელს გამოკითხული იქნა 1 351 რესპონდენტი 2-დან 7 აპრილის ჩათვლით. 2021 წლის კვლევაში, „CRRC-საქართველომ“ 1 228 სრული ინტერვიუ შეაგროვა 9 და 23 ივლისს შორის პერიოდში. ცდომილების თეორიული ზღვარი 2.67%-ს არ აღემატება. იმისთვის, რათა გამოკითხვა მოსახლეობის დემოგრაფიულ მახასიათებლებს ზუსტად ასახავდეს, მონაცემები ქვეყნის მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვითაა შეწონილი.

---

1 ჯალაღონია დავით, “მინიმალური ხელფასი საქართველოში 320 ლარი გახდეს – პროფკავშირების კანონპროექტი,” Bm.ge, ოქტომბერი 2019, https://bm.ge/ka/article/minimaluri-xelfasi-saqartveloshi-320-lari-gaxdes–profkavshirebis-kanonproeqti-/42830

2 Parliament.ge, “ბექა ნაცვლიშვილმა მინიმალური ხელფასის შესახებ კანონპროექტი დაარეგისტრირა,” საქართველოს პარლამენტი, ნოემბერი 2019, http://parliament.ge/ge/parlamentarebi/news1/beqa-nacvlishvilma-minimaluri-xelfasis-shesaxeb-kanonproeqti-daaregistrira.page

3 საქართველოს პრეზიდენტი, “საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ,” აპრილი 1999, https://matsne.gov.ge/ka/document/view/112786

4 Darsavelidze Davit, “Impact of Possible Growth of Minimum Wage in Georgia” (Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, იანვარი 2019).

5 ხელაია ნინო, “მინიმალური ხელფასი,” 1tv, 2020, https://1tv.ge/analytics/minimaluri-khelfasi/

6 მჭედლიშვილი, ნონა, “მინიმალური ხელფასი 20 ლარია,” რადიო თავისუფლება, ნოემბერი 2016, https://www.radiotavisupleba.ge/a/minimaluri-khelfasi/28096560.html

7 Darsavelidze, “Impact of Possible Growth of Minimum Wage in Georgia.”

8 ჯალაღონია, “მინიმალური ხელფასი საქართველოში 320 ლარი გახდეს – პროფკავშირების კანონპროექტი.”

9 ტყეშელაშვილი, შოთა, “მინიმალური ხელფასის ფასი,” Forbes Georgia, October 2019, https://forbes.ge/news/7240/minimaluri-xelfasis-fasi

10 მაკალათია, ირაკლი, “რა შედეგები შეიძლება მოიტანოს მინიმალური ხელფასის შემოღებამ საქართველოში.”

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: თავდაპირველად, დახასიათებულია მინიმალური ხელფასისადმი მხარდაჭერა. შემდეგ, განხილულია მინიმალური ხელფასის გონივრული მოცულობის აღქმა მოსახლეობაში. ტექსტის ამ ნაწილს მოსდევს იმის დახასიათება, თუ როგორ განსხვავდება მინიმალური ხელფასის ღირსეული რაოდენობის შეფასება რესპონდენტთა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. ანგარიშს ასრულებს დასკვნა-შეჯამებისა და ბიბლიოგრაფიის სექციები.

2

შედეგები

მინიმალური ხელფასისადმი მხარდაჭერა

მთლიანობაში, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ქვეყანაში მინიმალური ხელფასის არსებობას ემხრობა (იხ. დიაგრამა 1). რესპონდენტთა 80% აცხადებს, რომ ისინი სრულად ან ნაწილობრივ უჭერენ მხარს მინიმალური ხელფასის რეგულაციას. მოსახლეობის მხოლოდ 9% ამბობს, რომ ისინი მინიმალური ხელფასის არსებობას ნაწილობრივ ან სრულად ეწინააღმდეგებიან. დაახლოებით 12%-მა არ იცის, ან უარს აცხადებს პასუხის გაცემაზე.

2020 წლის ომნიბუსის კვლევასთან შედარებით, მინიმალური ხელფასის რეგულაციის მხადამჭერთა წილი გაიზარდა. მოსახლეობის 5 პროცენტული პუნქტით მეტი წილი უჭერს მხარს ასეთ რეგულაციას, მაშინ, როდესაც უარყოფითად განწყობილი რესპონდენტების წილი სამი პროცენტით შემცირდა.

ამ საკითხზე ძირითადი სოციო-დემოგრაფიული ჯგუფების წარმომადგენლებს შორის მეტნაკლები კონსენსუს არსებობს. ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო შეჭირვებული რესპონდენტებს უფრო მეტად არ აქვთ პასუხი ამ კითხვაზე, ვიდრე - კეთილდღეობის ინდექსის მედიანური და მაქსიმალური მნიშვნელობის მქონეთ.[11]

დიაგრამა 1
რამდენად ემხრობით საქართველოში მინიმალური ხელფასის შემოღებას? (%)



11 ჯგუფებს შორის სხვაობები გამოვლინდა მულტინომიური რეგრესიული მოდელის მეშვეობით, რომელიც მინიმალური ხელფასის რეგულაციისადმი მხარდაჭერას ან - წინააღმდეგობას აფასებდა. ამხსნელი ცვლადები მოიცავს რესპონდენტის სქესს, ასაკს, ეთნიკურ კუთვნილებას, განათლებას, დასაქმების სტატუსს, დასახლებული პუნქტის ტიპს და ეკონომიკური კეთილდღეობის ინდექსს. კეთილდღეობის ინდექსი ჯამური მაჩვენებელია, რომელიც ზომავს, აქვს თუ არა რესპონდენტს ოჯახში ის საოჯახო ნივთი ან სერვისი, როგორიცაა ცენტრალური გათბობა. აღნიშნული მაჩვენებელი შინამეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობის არაპირდაპირი ფორმით შეფასებისთვის გამოიყენება. ინდექსის მინიმალური მნიშვნელობა 0-ს, მედიანური 7-ს, ხოლო მაქსიმალური - 12-ს შეადგენს.

რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა მინიმალური ხელფასის გონივრული ოდენობის შესახებ?

იმ რესპონდენტებს, რომლებიც მინიმალური ხელფასის იდეას ემხრობოდნენ, ასევე ჰკითხეს, თუ რას ჩათვლიდნენ გონივრულ ოდენობად სტანდარტული სამუშაო კვირის პირობებში. გამოკითხულებს ნებისმიერი რიცხვის მითითების საშუალება ჰქონდათ. შედეგად, იმ რესპონდენტების 96%-მა, რომლებიც მხარს უჭერდნენ მინიმალური ხელფასის იდეას,ესა თუ ის კონკრეტული თანხა დაასახელა. საქართველოს მოსახლეობას მინიმალური ხელფასის საშუალო ოდენობად 1 208 ლარი წარმოუდგენია, მედიანური მნიშნელობა[12] კი 1 000 ლარს შეადგენს.N ორივე შემთხვევაში, დასახელებული რიცხვი მინიმალური ხელფასის ამჟამინდელ მაჩვენებელს 50-ჯერ აღემატება.

2020 წლის ტალღასთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა მინიმალური ხელფასის გონივრულ მოცულობად მაღალ რიცხვს ასახელებს. გონივრული მინიმალური ხელფასის საშუალო დასახელებული მაჩვენებელი 353.9 ლარით, ხოლო მედიანა 200 ლარით გაიზარდა. სავარაუდოდ, ეს ასახავს დოლართან შედარებით ეროვნული ვალუტის არასტაბილურობას, ასევე - პანდემიით გამოწვეულ მნიშნელოვან ეკონომიკურ დანაკარგებს.[13]

მინიმალური ხელფასის რეგულაციის მხარდაჭერის მსგავსად, რესპონდენტის სოციოეკონომიკური სტატუსი პროგნოზირებს, როგორ მნიშვნელობებს ასახელებენ ისინი, როგორც სასურველ მინიმალურ ხელფასს. ისინი, რომლებსაც კეთილდღეობის ინდექსის ყველაზე ნაკლები (ნულოვანი) მაჩვენებელი ჰქონდათ, 665 ლარს ასახელებდნენ, მედიანური (7) ქულის მფლობელები საშუალოდ, 1 249 ლარს მიიჩნევდნენ სასურველ მინიმალურ ხელფასად, ხოლო ეკონომიკურად ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში მყოფნი (12 ქულა კეთილდღეობის ინდექსზე), საშუალოდ, 1 667 ლარს ასახელებდნენ.

ღირსეული ანაზღაურების აღქმა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

რას მიიჩნევს საქართველოს დასაქმებული მოსახლეობა საკუთარ საქმიანობაში სათანადო ანაზღაურებად? მომუშავე რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ რას ფიქრობდნენ საკუთარ პროფესიაში ხელზე ასაღები ხელფასის ღირსეულ ოდენობაზე (დიაგრამა 2). საშუალოდ, დასაქმებულები სათანადო ხელფასად 1 778 ლარს მიიჩნევენ.

დასაქმებული რესპონდენტები ღირსეულ ანაზღაურებად უფრო მაღალ თანხას ასახელებდნენ, ვიდრე - დაუსაქმებლები (დიაგრამა 2). საშუალოდ, დასაქმებული რესპონდენტები საკუთარი საქმისთვის ღირსეულ ხელფასად 2 108 ლარს მიიჩნევდნენ, ხოლო მედიანურად - 1 500 ლარს.

დიაგრამა 2

თუკი ხელზე ყოველთვიურად ასაღებ ხელფასზე ვისაუბრებთ, საქართველოს პირობებში, რა თანხას ჩათვლიდით ღირსეულ ანაზღაურებად თქვენს მიერ დასახელებული საქმიანობის შესასრულებლად?



12 მედიანა წარმოადგენს განაწილების შუა წერტილს. საშუალოსგან განსხვავებით, იგი ექსტრემალური მნიშვნელობების მიმართ ნაკლებად სენსიტიურია.

13 UNESCAP, "Georgia: Policy Responses." March 23, 2021. https://www.unescap.org/sites/default/d8files/2021-03/Georgia_COVID%20Country%20profile%20230321.pdf

შრომის ღირსეული ანაზღაურების აღქმა არ იცვლება ეკონომიკური საქმიანობის ტიპების მიხედვით, ანუ ე.წ. თეთრსაყელოიანი და ლურჯსაყელოიანი მომუშავეები მსგავს მაჩვენებლებს ასახელებენ.[14] თეთრსაყელოიანი მომუშავეებისთვის ღირსეული ხელფასის აღქმული მაჩვენებელი 2 061 ლარს, ხოლო ლურჯსაყელოიანისთვის 2 148 ლარს შეადგენდა. მედიანური მაჩვენებელი ორივე ჯგუფისთვის 1 500 ლარი გახლდათ.

დაუსაქმებელ რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ რა ტიპის ფუნქციებს შეასრულებდნენ სამსახურში, დასაქმების პირობებში და რა იქნებოდა ამ პირობებში შრომის ღირსეული ანაზღაურება. საშუალოდ, უმუშევრები სათანადო ხელფასად 1 427 ლარს მიიჩნდევდნენ. აღქმული ანაზღაურების მედიანური მნიშვნელობა 1 000 ლარს შეადგენდა.

დასაქმებულთა მსგავსად, უმუშევარი რესპონდენტების მიერ დასახელებული ხელფასის ოდენობა არ განსხვავდებოდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. სასურველი ხელფასის საშუალო მაჩვენებელი მათთვის, რომლებიც „თეთრსაყელოიან“ სამსახურს ისურვებდნენ, 1 360 ლარს შეადგენდა, „ლურჯსაყელოებიანებისთვის“ კი - 1 421 ლარს. ორივე ჯგუფისთვის მედიანური ხელფასი 1 000 ლარი გახლდათ.

2020 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა შრომის ღირსეულ ანაზღაურებად უფრო მაღალ თანხას ასახელებს. მაგალითად, აღქმული ღირსეული ხელფასის საშუალო მაჩვენებელი დასაქმებულებს შორის 651 ლარით, ხოლო უმუშევრებში 139 ლარით გაიზარდა.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვითაც მსგავსი ტენდენცია ჩანს. თეთრსაყელოიანი მომუშავეები საშუალოდ 577 ლარით მეტს ასახელებდნენ, ვიდრე - წინა ტალღაში. ლურჯსაყელოიანი მომუშავეების მიერ დასახელებული მაჩვენებელი 726 ლარით გაიზარდა. უმუშევრები, რომლებსაც თეთრსაყელოიანი სამსახური სურდათ, საშუალოდ 77 ლარით მეტს ასახელებდნენ გასული წლის აპრილთან შედარებით, ხოლო ლურჯსაყელოიანი საქმიანობის მსურველები კი 128 ლარით მეტს. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ცვლილებები საქართველოს ეკონომიკაზე კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენითაა გამოწვეული.

დიაგრამა 3

ნომინალური თვიური ხელფასის, შრომის ღირსეული ანაზღაურების აღქმული მნიშვნელობის, საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ხელფასის ოდენობათა შედარება. წყაროები: საქსტატი, FES-CRRC კვლევა.



14 რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ რა ფუნქციებს ასრულებდნენ სამუშაო ადგილზე. ამის მიხედვით, გამოიყო ათი კატეგორია (მენეჯერები, სპეციალისტები, ტექნიკოსები, ოფისის დამხმარე პერსონალი, მომსახურების სფეროს მუშაკები, სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშები, ხელოსნები, ამწყობ- ოპერატორები, არაკვალიფიციური მუშაკები, სამხედრო სფეროს წარმომადგენლები). „თეთრსაყელოიან“ მომუშავეებად ჩათვლილია ის რესპონდენტები, რომელთა საქმიანობაც შეესაბამებოდა მენეჯერის, სპეციალისტის, ტექნიკოსის, ოფისის დამხმარე პერსონალის, მომსახურების სფეროს მუშაკის ფუნქციას, ხოლო „ლურჯსაყელოიანად“ - სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშის, ხელოსნის, ამწყობ-ოპერატორის, არაკვალიფიციური მუშის ფუნქციების მქონე დასაქმებულები..

3

დასკვნები

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე შემდეგი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი:

- მინიმალური ხელფასის იდეას საქართველოში მხარს ფართოდ უჭერენ.

- რესპონდენტების მიერ დასახელებული მინიმალური ხელფასის გონივრული რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 1 208 ლარს შეადგენს, რაც ამჟამად არსებულ საარსებო მინიმუმს ექვსჯერ, ხოლო მინიმალური ხელფასის კანონით დადგენილ ოდენობას ორმოცდაათჯერ აღემატება. 2020 წელს რესპონდენტების მიერ დასახელებულ მაჩვენებელს აღნიშნული რიცხვი 354 ლარით აღემატება.

- შედარებით უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი რესპონდენტები სასურველი მინიმალური ხელფასის უფრო მაღალ მაჩვენებლებს ასახელებენ, ვიდრე - ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანები.

- საშუალოდ, საქართველოს მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სასურველი ღირსეული ანაზღაურება 1 778 ლარი უნდა იყოს, რაც 2020 წლის მაჩვენებელთან შდარებით, 435 ლარითაა გაზრდილი. დასაქმებული რესპონდენტებისთვის აღნიშნული 2 108 ლარს შეადგენს, ხოლო დაუსაქმებლებისთვის კი - 1 427 ლარს.

გამოყენებული ლიტერატურა

Darsavelidze, Davit "Impact of Possible Growth of Minimum Wage in Georgia." Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, January 2019. http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/14970.pdf

parliament.ge "ბექა ნაცვლიშვილმა მინიმალური ხელფასის შესახებ კანონპროექტი დაარეგისტრირა." საქართველოს პარლამენტი, November 2019. http://parliament.ge/ge/parlamentarebi/news1/beqa-nacvlishvilma-minimaluri-xelfasis-shesaxeb-kanonproeqti-daaregistrira.page. UNESCAP, "Georgia: Policy Responses." March 23, 2021. https://www.unescap.org/sites/default/d8files/2021-03/Georgia_COVID%20Country%20profile%20230321.pdf

მაკალათია, ირაკლი "რა შედეგები შეიძლება მოიტანოს მინიმალური ხელფასის შემოღებამ საქართველოში." Bm.ge, November 2019. https://bm.ge/ka/article/ra-shedegebi-sheidzleba-moitanos-minimaluri-xelfasis-shemogebam-saqartveloshi/43346

მჭედლიშვილი, ნონა "მინიმალური ხელფასი 20 ლარია." რადიო თავისუფლება, November 2016. https://www.radiotavisupleba.ge/a/minimaluri-khelfasi/28096560.html

საქართველოს პრეზიდენტი "საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ," April 1999. https://matsne.gov.ge/ka/document/view/112786

ტყეშელაშვილი, შოთა "მინიმალური ხელფასის ფასი." Forbes Georgia, October 2019. https://forbes.ge/news/7240/minimaluri-xelfasis-fasi

ხელაია, ნინო "მინიმალური ხელფასი." 1tv, 2020. https://1tv.ge/analytics/minimaluri-khelfasi/

ჯალაღონია, დავით "მინიმალური ხელფასი საქართველოში 320 ლარი გახდეს – პროფკავშირების კანონპროექტი." Bm.ge, October 2019. https://bm.ge/ka/article/minimaluri-xelfasi-saqartveloshi-320-lari-gaxdes–profkavshirebis-kanonproeqti-/42830

დიაგრამები

4 დიაგრამა 1
რამდენად ემხრობით საქართველოში მინიმალური ხელფასის შემოღებას? (%)

5 დიაგრამა 2
თუკი ხელზე ყოველთვიურად ასაღებ ხელფასზე ვისაუბრებთ, საქართველოს პირობებში, რა თანხას ჩათვლიდით ღირსეულ ანაზღაურებად თქვენს მიერ დასახელებული საქმიანობის შესასრულებლად?

6 დიაგრამა 3
ნომინალური თვიური ხელფასის, შრომის ღირსეული ანაზღაურების აღქმული მნიშვნელობის, საარსებო მინიმუმისა და მინიმალური ხელფასის ოდენობათა შედარება. წყაროები: საქსტატი, FES-CRRC კვლევა.

ავტორის შესახებ

დავით სიჭინავა არის „CRRC-საქართველოს“ კვლევების დირექტორი. იგი ფლობს საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის ხარისხს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიპოვა. ამჟამად დავითი ამავე უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორია. მისი კვლევითი ინტერესები შეეხება უთანასწორობის სოციო-სივრცით და დროით ასპექტებს, ურბანული განვითარების პოლიტიკასა და კონფლიქტით გამოწვეულ იძულებით გადაადგილებას. დავითის სტატიები გამოქვეყნებულა ისეთ გავლენიან მედიასაშუალებებში, როგორებიცაა „ვაშინგტონ პოსტი“ და „ევრაზიანეთი“. გარდა ამისა, მისი სამეცნიერო ნამუშევრები დაბეჭდილია სტატიის სახით გამოცემაში - „ევრაზიის გეოგრაფია და პოლიტიკა“, ასევე რუტლედჯისა და ტორონტოს უნივერსიტეტების გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო კრებულებში.

იმპრესარიუმი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1
0179 თბილისი | საქართველო

პასუხისმგებელი პირი:
ფელიქს ჰეტი| სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ.: +995 32 225 07 28
http://southcaucasus.fes.de/

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
stiftung@fesgeo.ge

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული
მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის
გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ
ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის პოზიციას.

მინიმალური ხელფასი საქართველოში

ორწლიანი ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის შეფასება

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:
www.southcaucasus.fes.de

FRIEDRICH EBERT STIFTUNG